

ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის პირობები

1. ზოგადი დებულებები

1. ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის (შემდგომში - კონკურსი) მიზანია ხელი შეუწყოს ახალი ცოდნის შექმნას, ახალი იდეებისა და კონცეფციების, მოვლენებისა და ფაქტების, თეორიებისა და მოდელების თეორიულ და ექსპერიმენტულ შესწავლა-ანალიზს. დასაფინანსებელ კვლევას არ მოეთხოვება უშუალო კომერციული სარგებლიანობა, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში უნდა წარმოადგენდეს სოციალურ-პოლიტიკური, საზოგადოებრივი, კულტურული ან/და ტექნიკური პროგრესის საფუძველს. ფუნდამენტური კვლევების საგრანტო კონკურსი ხელს უწყობს კონკურენტული კვლევითი გარემოს შექმნას, გამორჩეული ხარისხის ინოვაციური კვლევების განვითარებას, მათ მიახლოებას საერთაშორისო სტანდარტებთან და ინტერნაციონალიზაციას, კვლევის პროცესის ინტეგრაციას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო პროცესში და ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო პოტენციალის ზრდას მათი ჩართვით კვლევაში.

2. ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსში პროექტის წარდგენა შესაძლებელია სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორით განსაზღვრულ სამეცნიერო დარგებსა და ქვედარგებში, რომელიც შექმნილია საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის №84 დადგენილებით დამტკიცებული დებულების პირველი მუხლის მე-2 და 2¹ პუნქტების შესაბამისად. სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორი წარმოდგენილია ამ ბრძანების №11 დანართში.

3. კონკურსი ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მის ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომში – ფონდი) საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის №84 დადგენილებითა და ფონდის გენერალური დირექტორის ამ ბრძანებით განსაზღვრული წესების შესაბამისად.

მუხლი 2. კონკურსში მონაწილე სუბიექტები და მონაწილეობის პირობები

1. კონკურსში მონაწილეობა და გრანტის მიღება შეუძლიათ წამყვან ორგანიზაციას, თანამონაწილე ორგანიზაციას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და პროექტის ძირითად პერსონალს.

2. პროექტს აუცილებლად უნდა ჰყავდეს **წამყვანი ორგანიზაცია** – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელთა წესდებით/დებულებით განსაზღვრული მიზანია სამეცნიერო კვლევების განხორციელება, ასევე საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. წამყვანი ორგანიზაცია უზრუნველყოფს პროექტის ძირითად და დამხმარე პერსონალს პროექტით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ასრულებს პროექტის განხორციელების ანგარიშგებას გრანტის გამცემის მიერ დამტკიცებული ფორმებისა და წესის შესაბამისად, ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვისგან

განცალკევებით აწარმოებს გრანტის ბუღალტრულ აღრიცხვას, ასრულებს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებებს.

3. პროექტს შეიძლება ჰყავდეს **თანამონაწილე ორგანიზაცია/ები** – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელთა წესდებით/დებულებით განსაზღვრული მიზანია სამეცნიერო კვლევების განხორციელება, ასევე საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. თანამონაწილე ორგანიზაცია წამყვან ორგანიზაციასთან ერთად უზრუნველყოფს პროექტის ძირითად და დამხმარე პერსონალს პროექტით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვისგან განცალკევებით აწარმოებს გრანტის ბუღალტრულ აღრიცხვას და ასრულებს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებებს.

4. პროექტს უნდა ჰყავდეს **ძირითადი პერსონალი** – საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე ფიზიკური პირები, რომლებიც ასრულებენ პროექტით დაგეგმილ ძირითად ამოცანებს. ძირითადი პერსონალი შეიძლება იყოს დოქტორის, მაგისტრის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, დოქტორანტურის, მაგისტრატურის ან რეზიდენტურის სტუდენტი.

5. პროექტს უნდა ჰყავდეს **პროექტის ხელმძღვანელი** – დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე ძირითადი პერსონალიდან, რომელიც პროექტს განხორციელებს წამყვან ორგანიზაციაში, ხელმძღვანელობს პროექტით გათვალისწინებულ კვლევას და პასუხისმგებელია, როგორც პროექტის სამეცნიერო შედეგებზე, ისე პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის ანგარიშგებაზე.

6. პროექტს უნდა ჰყავდეს **პროექტის კოორდინატორი** – საქართველოს მოქალაქე ძირითადი პერსონალიდან, რომელიც ჩართულია პროექტის მართვასა და ადმინისტრირებაში და პასუხისმგებელია პროექტის მენეჯმენტსა და საორგანიზაციო საქმეებზე.

7. პროექტის ხელმძღვანელი და პროექტის კოორდინატორი არ შეიძლება იყოს ერთი და იგივე პირი.

8. სასურველია პროექტში ჩართული იყოს **ახალგაზრდა მეცნიერ(ებ)ი** – მაგისტრის/დოქტორის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირ(ებ)ი ძირითადი პერსონალიდან, რომელთა აკადემიური ხარისხის მინიჭებიდან კონკურსის გამოცხადებამდე გასულია არაუმეტეს 7 წელი, ასევე მაგისტრატურის, რეზიდენტურის, დოქტორანტურის სტუდენტი;

9. პროექტს შეიძლება ჰყავდეს **დამხმარე პერსონალი** – პროექტის ფარგლებში დასაქმებული პირ(ებ)ი, რომლებიც ეხმარებიან ძირითად პერსონალს ტექნიკური საკითხების მოგვარებაში. დაუშვებელია დამხმარე პერსონალმა შეასრულოს ძირითადი პერსონალის ფუნქციები (მაგალითად, ძირითადი პერსონალისაგან დამოუკიდებლად წარადგინოს პრეზენტაცია საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაზე, განხორციელოს კვლევითი ვიზიტი საზღვარგარეთ, დაწეროს სტატია და მონოგრაფია).

10. სასურველია პროექტში **კონსულტანტის სტატუსით** ჩართული იყვნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც მუშაობენ პროექტით გათვალისწინებული კვლევის თემატიკაზე და კონსულტაციას გაუწევენ ძირითად პერსონალს პროექტით გათვალისწინებული კვლევის ფარგლებში. კონსულტანტი არ შეიძლება იყოს პროექტის ძირითადი პერსონალი/გრანტის მიმღები.

11. პროექტს შეიძლება ჰყავდეს **თანადაფინანსებელი** – იურიდიული ან ფიზიკური პირ(ებ)ი, რომლებიც ფონდთან ერთად აფინანსებენ კვლევით პროექტს.

12. პროექტის განსახორციელებლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს დამატებით სხვა იურიდიული ან ფიზიკური პირის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

13. პროექტს შესაძლებელია ჰყავდეს **პარტნიორი ორგანიზაცია** – საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირი ან საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც მონაწილეობს პროექტის გარკვეული ამოცანების შესრულებაში. პარტნიორი ორგანიზაცია არ შეიძლება იყოს გრანტის მიმღები.

14. პროექტის ხელმძღვანელის **სტატუსით** ერთსა და იმავე პირს, ერთსა და იმავე დროს, შეუძლია ჩართული იყოს **მხოლოდ ერთ პროექტში**. იგულისხმება, როგორც ამ კონკურსში წარმოდგენილი, ასევე, ის მიმდინარე პროექტი, რომელიც დაფინანსდა ფონდის მიერ ადმინისტრირებული შემდეგი კონკურსების ფარგლებში: ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების (FR), გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების (AR) და უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტების (DI) კონკურსები.

15. **ძირითადი პერსონალის სტატუსით** ერთსა და იმავე პირს, ერთსა და იმავე დროს, შეუძლია ჩართული იყოს ჯამში **მხოლოდ ორ პროექტში**. იგულისხმება, როგორც ამ კონკურსში წარმოდგენილი, ასევე ის მიმდინარე პროექტები, რომელზეც დაფინანსდნენ ფონდის მიერ ადმინისტრირებული შემდეგი კონკურსების ფარგლებში: ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების (FR), გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების (AR) და უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტების (DI) კონკურსებში.

16. ამ მუხლის მე-14 და მე-15 ქვეპუნქტებისათვის პროექტი ჩაითვლება მიმდინარედ, თუ პროექტზე არ არის გაფორმებული შედარების აქტი, დამოწმებული ორმხრივი ხელმოწერით და არ არის დახურული **2023 წლის 18 აპრილის მდგომარეობით**.

მუხლი 3. ძირითადი ფინანსური მოთხოვნები

- საკონკურსოდ წარდგენილი პროექტის ხანგრძლივობა უნდა იყოს 2 ან 3 წელი. თითოეული საანგარიშო პერიოდი უნდა შეადგენდეს 12 თვეს.
- პროექტისათვის ფონდიდან მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსება და პროექტის ხანგრძლივობა უნდა შეესაბამებოდეს პროექტით გათვალისწინებული კვლევის ძირითად სამეცნიერო მიმართულებას შემდეგი სქემის მიხედვით:

სამეცნიერო მიმართულება	მაქსიმალური წლიური ბიუჯეტი	დაფინანსების მაქსიმუმი პროექტის ხანგრძლივობის მიხედვით	
		2 წელი	3 წელი
ა) ზუსტი მეცნიერებები და ინჟინერია;	80 000	160 000	240 000
ბ) სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები.	ლარი	ლარი	ლარი
გ) სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები;	60 000	120 000	180 000
დ) საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები.	ლარი	ლარი	ლარი

3. პროექტის ბიუჯეტში საგრანტო დაფინანსება შესაძლებელია ითვალისწინებდეს შემდეგ მუხლებს/ხარჯვით კატეგორიებს:

- ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება;
- დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- მივლინება;
- საქონელი და მომსახურება;
- არაფინანსური აქტივები;
- ზედნადაები ხარჯები.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული ხარჯვითი კატეგორიები განიმარტება ფონდის გენერალური დირექტორის მიერ ამ ბრძანებით დამტკიცებული ბიუჯეტის კლასიფიკატორით (დანართი №12).

5. პროექტის ბიუჯეტში ფონდიდან მოთხოვნილი თანხის ხარჯვა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს 40 000 ლარს წელიწადში, თუ პროექტის ძირითად პერსონალში არ არის ჩართული ახალგაზრდა მეცნიერი;

ბ) პროექტში ერთი ახალგაზრდა მეცნიერის ჩართვის შემთხვევაში ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს 45000 ლარს, ხოლო ორი ან მეტი ახალგაზრდა მეცნიერის ჩართვის შემთხვევაში - 50000 ლარს;

გ) პროექტში ახალგაზრდა მეცნიერ(ებ)ის ჩართვის შემთხვევაში, პროექტის ბიუჯეტი უნდა ითვალისწინებდეს ახალგაზრდა მეცნიერ(ებ)ის საგრანტო დაფინანსებას თითოეულ საანგარიშო პერიოდში და უნდა შეადგენდეს არანაკლებ 9000 ლარს წელიწადში თითოეული ახალგაზრდა მეცნიერისათვის;

გ) დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 5000 ლარს წელიწადში.

დ) ზედნადები ხარჯები - წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციების ბაზაზე პროექტით დაგეგმილი ამოცანების განხორციელებისათვის აუცილებელი არაპირდაპირი ხარჯების საერთო მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსების 5%-ს. გრანტის მიმღები წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაცია უფლებამოსილია „ზედნადები ხარჯების“ კატეგორიით გათვალისწინებული თანხა გამოიყენოს გრანტის ტექნიკური ადმინისტრირებისა და შიდა მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი დაფინანსებისათვის.

6. პროექტის ბიუჯეტი შესაძლებელია ითვალისწინებდეს კვლევის მასალებზე დაყრდნობით მინიმუმ ერთი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნებას საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემაში (ბიუჯეტის საქონელი და მომსახურების, ოფისის ხარჯების კატეგორიიდან).

7. გრანტის სახსრებით შესაძლებელია პროექტში ჩართული უცხოელი კონსულტანტის წარმომადგენლობითი ხარჯებისა და ჰონორარის დაფინანსება (ბიუჯეტის საქონელი და მომსახურების, წარმომადგენლობითი ხარჯების და სხვა საქონელი და მომსახურების კატეგორიიდან).

8. პროექტს შესაძლოა ჰქონდეს თანადაფინანსება – დამატებითი ფინანსური მხარდაჭერა, რომელიც ფონდიდან მოთხოვნილ საგრანტო დაფინანსებასთან ერთად არის პროექტის საერთო ბიუჯეტის შემადგენელი. თანადაფინანსებად არ განიხილება ფონდის მიერ გაცემული ნებისმიერი სხვა გრანტი.

9. ფონდი არ ანაზღაურებს პროექტის მომზადებისა და წარდგენისათვის გაწეულ ხარჯებს.

10. გრანტის სახსრებით დაუშვებელია უძრავი ქონების შეძენა/იჯარა, კაპიტალური რემონტი/შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია, ავტომანქანის და მობილური ტელეფონის შეძენა.

11. გრანტის სახსრებით შეძენილი ქონება პროექტის დასრულების შემდეგ საკუთრებაში რჩება გრანტის მიმღებ წამყვან/თანამონაწილე ორგანიზაციას ან/და ფიზიკურ პირს/პირთა ჯგუფს, მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

მუხლი 4. საკონკურსო დოკუმენტაცია

1. საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის პროექტის ხელმძღვანელმა გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში [Grants Management Unified System] ელექტრონულად უნდა დაარეგისტრიროს პროექტი, რომელიც შედგება შემდეგი დოკუმენტებისგან:

ა) კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ (დანართი №2 - ნიმუში, ივსება GMUS-ში პროექტის რეგისტრაციის დროს);

ბ) **საპროექტო წინადადება** ქართულ და ინგლისურ ენაზე (დანართი №3, იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით);

გ) **პროექტის ძირითადი პერსონალის** (ხელმძღვანელის, კოორდინატორის, ქართველი და უცხოელი მკვლევრების) **პროფესიული ბიოგრაფიები (CV)** ივსება GMUS-ში „მეცნიერის პროფილის“ რეგისტრაციის დროს. სავალდებულოა, საქართველოს მოქალაქე ძირითადი პერსონალის „მეცნიერის პროფილი“ შევსებული იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქე ძირითადი პერსონალის - ინგლისურ ენაზე. **CV-ში პუბლიკაციების, სამეცნიერო ღონისძიებების, პატენტების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს გამოქვეყნების ენაზე. ინგლისურ ენოვან CV-ში შესაძლებელია ეს ინფორმაცია წარმოდგენილი იყოს ინგლისურად, ფრჩხილებში სტატიის გამოქვეყნების ენის მითითებით.** ძირითადი პერსონალის „მეცნიერის პროფილიდან“ CV-ები დაგენერირდება ბაზაში, ექსპორტირდება და PDF დოკუმენტის სახით იტვირთება GMUS-ში პროექტის რეგისტრაციისას ხელმძღვანელის მიერ (დანართი №4 - ნიმუში). უცხოელი ძირითადი პერსონალის ინგლისური CV-ების ქართულად თარგმნასა და პროექტის რეგისტრაციისას მათ წარმოდგენაზე პასუხისმგებელია პროექტის ხელმძღვანელი.

დ) **უცხოელი კონსულტანტის** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) **პროფესიული ბიოგრაფია - CV** ინგლისურ ენაზე და მისი ქართული თარგმანი იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის სახით პროექტის ხელმძღვანელის მიერ;

ე) **უცხოელი კონსულტანტის** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) **თანხმობის წერილი** პროექტში მონაწილეობის შესახებ დამოწმებული ხელმოწერით და მისი ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ (დანართი №5 - იტვირთება GMUS -ში PDF დოკუმენტის სახით);

ვ) **პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი** (დანართი №6 - ნიმუში, ივსება GMUS-ში);

ზ) **პროექტის ბიუჯეტი და ბიუჯეტის დასაბუთება** (დანართი №7 - ნიმუში, ივსება GMUS-ში);

თ) **ცნობა თანადაფინანსების შესახებ** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენილი უნდა იყოს იურიდიული პირის, ან ფიზიკური პირის მიერ დადასტურებული და სავალდებულოა ცნობაში მითითებული იყოს თანადაფინანსების თანხა და მიზნობრიობა.

თ.ა) იურიდიული პირის მხრიდან თანადაფინანსების შემთხვევაში **ცნობა თანადაფინანსების შესახებ** წარმოდგენილი უნდა იყოს ორგანიზაციის ოფიციალურ ბლანკზე ან დანართი №8-ის ფორმით, დამოწმებული თანადაფინანსებელი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და ორგანიზაციის ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). (იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით). თუ დოკუმენტის ორიგინალი გაცემულია უცხო ენაზე, აუცილებელია მისი ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ;

თ.ბ) ფიზიკური პირის მხრიდან თანადაფინანსების შემთხვევაში **ცნობა თანადაფინანსების შესახებ** წარმოდგენილი უნდა იყოს დანართი №8-ის ფორმით, დამოწმებული თანადაფინანსებელი ფიზიკური პირის ხელმოწერით (იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით). თუ დოკუმენტის ორიგინალი გაცემულია უცხო ენაზე, აუცილებელია მისი ქართული თარგმანი დამოწმებული იყოს თარჯიმანთა ბიუროს მიერ;

ი) **სხვა იურიდიული ან ფიზიკური პირის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენების შესახებ თანხმობის წერილი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში). წერილი წარმოდგენილი უნდა იყოს ორგანიზაციის ოფიციალურ ბლანკზე ან დანართი №9-ის ფორმით, დამოწმებული უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ორგანიზაციის ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). (იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით). თუ დოკუმენტის ორიგინალი გაცემულია უცხო ენაზე, აუცილებელია მისი ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ;

კ) პროექტის წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სამართლებრივი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (წესდება/დებულება). ა(ა)იპ-ისა და უსდ-ს შემთხვევაში ასევე საჭიროა 2023 წელს გაცემული ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბიზნესის რეესტრიდან. საზღვარგარეთ რეგისტრირებული ან საერთაშორისო ორგანიზაციის შემთხვევაში სამართლებრივი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა არ არის სავალდებულო. დოკუმენტები იტვირთება GMUS-ში შესაბამისი „ორგანიზაციის პროფილში“ PDF დოკუმენტის სახით;

ლ) პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართული ფიზიკური პირების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტები (დიპლომი, სერტიფიკატი, დოქტორანტი/მაგისტრანტი/რეზიდენტურის სტუდენტის შემთხვევაში ცნობა სწავლის შესახებ შესაბამისი ორგანიზაციიდან გაცემული 2023 წელს); საქართველოს მოქალაქე პირებისათვის, თუ აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი უცხოეთშია გაცემული, მას თან უნდა ერთვოდეს ნამდვილობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი, გაცემული „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში გაცემულ დოკუმენტს არ სჭირდება ქართული თარგმანი და აღიარება. უცხო ქვეყნის მოქალაქე ძირითადი პერსონალის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელ დოკუმენტს უნდა ახლდეს მისი ნამდვილობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და აკადემიური ხარისხი უნდა დასტურდებოდეს იმ ინსტიტუციის ოფიციალური ვებგვერდით/ცნობით, რომელშიც ის მოღვაწეობს. დოკუმენტები იტვირთება GMUS-ში შესაბამისი პირის „მეცნიერის პროფილში“ PDF დოკუმენტის სახით;

მ) პარტნიორი ორგანიზაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პარტნიორობის დამადასტურებელი დოკუმენტის ორიგინალი და მისი ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ.

2. საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის ფონდის კანცელარიაში კონკურსანტებმა უნდა წარმოადგინონ:

ა) პროექტის წარმომდგენი იურიდიული და ფიზიკური პირების ერთობლივი „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ (დანართი №10 - ნიმუში, გენერირდება GMUS-ით) დამოწმებული შესაბამისი ხელმოწერებითა და ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ბ) განცხადებაზე უცხოეთის მოქალაქე ძირითადი პერსონალის ხელმოწერის არქონის შემთხვევაში საჭიროა, განცხადებას თან ერთვოდეს აღნიშნული პირის თანხმობის წერილი, ხელმოწერილი ორიგინალი და მისი ქართული თარგმანი თარჯიმანთა ბიუროს მიერ დამოწმებული. თანხმობის წერილით უნდა დასტურდებოდეს, რომ იგი გაეცნო კონკურსის პირობებს და თანახმაა კონკურსში მონაწილეობაზე;

3. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გრანტის მიმღებმა ფონდის კანცელარიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) წამყვანი და თანამონაწილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორგანიზაციის მიზნობრივი ანგარიშის რეკვიზიტები – ამ პროექტისათვის გახსნილი ლარის საბანკო ანგარიშის ნომერი, რომელზეც გამარჯვების შემთხვევაში ჩაირიცხება გრანტის თანხა და ცნობა ბანკიდან, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი;

ბ) ცნობა იმის შესახებ, რომ წამყვან და თანამონაწილე (ერთობლივი პროექტის შემთხვევაში) ორგანიზაციებს არ გააჩნია დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე;

გ) თანადაფინანსების ცნობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორიგინალი – თუ ცნობის ორიგინალი უცხოენოვანია, მას თან უნდა ერთვოდეს ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ.

4. საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ამ ბრძანებით დამტკიცებული წესების, ფორმებისა და ვადების დაცვით.

5. პროექტის სრულყოფილად წარმოდგენაზე, ქართული და ინგლისური ვერსიების იდენტურობასა და თარგმანის ხარისხზე პასუხისმგებელია პროექტის ხელმძღვანელი.

მუხლი 5. კონკურსზე რეგისტრაციის წესი

1. კონკურსში პროექტის რეგისტრაცია ხორციელდება ორ ეტაპად:

ა) პროექტის ელექტრონული რეგისტრაცია – 2023 წლის 17 თებერვლიდან - 3 აპრილის 16:00 საათამდე;

ბ) პროექტის ფონდის კანცელარიაში რეგისტრაცია – 2023 წლის 18 აპრილის 16:00 საათამდე.

2. ელექტრონული რეგისტრაციის ეტაპი გულისხმობს საკონკურსო დოკუმენტაციის ატვირთვას ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში (GMUS) შემდეგ ბმულზე: <http://gmus.rustaveli.org.ge>. ელექტრონული რეგისტრაციისათვის საჭიროა:

ა) პროექტის წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რეგისტრაცია GMUS-ში – „ორგანიზაციის პროფილის“ შექმნა და კონკურსის პირობების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების ატვირთვა.

ბ) **სავალდებულოა**, პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართული ფიზიკური პირების რეგისტრაცია GMUS-ში – „მეცნიერის პროფილის“ შექმნა და კონკურსის პირობების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების ატვირთვა. პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართული საქართველოს მოქალაქეების „მეცნიერის პროფილი“ შევსებული უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე, ხოლო პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართული უცხო ქვეყნის მოქალაქეების „მეცნიერის პროფილი“ - ინგლისურ ენაზე.

გ) პროექტის რეგისტრაცია ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსზე, კრებისთი ინფორმაციის შევსება და საკონკურსო დოკუმენტაციის ატვირთვა (იხ. კონკურსის პირობების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი).

3. ფონდის კანცელარიაში რეგისტრაციის ეტაპი გულისხმობს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარმოდგენას ფონდის კანცელარიაში კონკურსის პირობების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად.

4. საკონკურსოდ განიხილება მხოლოდ ის პროექტი, რომელსაც დადგენილი ვადებისა და წესების დაცვით გავლილი აქვს ელექტრონული რეგისტრაცია და ფონდის კანცელარიაში წარმოდგენილი აქვს შესაბამისი „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ.“

მუხლი 6. კონკურსის ადმინისტრირება

1. კონკურსის ადმინისტრირების ეტაპებია:

ა) კონკურსის გამოცხადება დადგენილი წესით;

ბ) პროექტების ელექტრონული რეგისტრაცია;

გ) ფონდის კანცელარიაში კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარდგენა;

დ) კონკურსის პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით საკონკურსოდ წარმოდგენილი განაცხადების ტექნიკურ ექსპერტიზა;

ე) შუალედური შედეგების გამოქვეყნება - ინფორმაცია კონკურსის პირობების დარღვევით წარმოდგენილი პროექტების მოხსნის შესახებ;

ვ) კონკურსის პირობების დაცვით წარმოდგენილი პროექტების შეფასება დამოუკიდებელი ექსპერტების/ექსპერტთა ჯგუფ(ებ)ის მიერ;

ზ) დამოუკიდებელი ექსპერტებისაგან ან/და ექსპერტთა ჯგუფ(ებ)ისგან მიღებული შეფასებების საფუძველზე შერჩეული დასაფინანსებელი პროექტების გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცება;

თ) კონკურსის შედეგების გამოქვეყნება;

ი) საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება.

2. რეგისტრირებული პროექტების კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით ფონდი ჩაატარებს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ტექნიკურ ექსპერტიზას, დაადგენს ხარვეზს და იმოქმედებს კანონის შესაბამისად.

3. ფონდი უფლებამოსილია საგრანტო კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტი, თუ:

ა) არ შეესაბამება კონკურსის მიზნებისათვის საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის №84 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს ან ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულ კონკურსის პირობებს;

ბ) კონკურსის პირობების მე-4 მუხლით განსაზღვრული დოკუმენტები წარმოდგენილია არასრულად, ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას, ან წარმოდგენილია დადგენილი ფორმებისა და ვადების დარღვევით.

გ) დამოუკიდებელ ექსპერტთა/ექსპერტთა ჯგუფების მიერ შინაარსობრივი მსგავსების გამოვლენის შემთხვევაში დადგინდება კონკურსის მონაწილის მიერ სამართლებრივი ან/და ეთიკის ნორმების დარღვევა. კონკურსიდან მოიხსნება ყველა ასეთი პროექტი.

მუხლი 7. პროექტების შეფასება

1. კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი რეგისტრირებული პროექტების შეფასება ხორციელდება საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის №84 დადგენილების მე-9 და მე-10 მუხლებით დადგენილი წესებითა და ამავე დადგენილების დანართი №2-ით დამტკიცებული „საგრანტო პროექტის შეფასების კრიტერიუმებით“.

2. პროექტების შეფასება განხორციელდება საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფების მიერ. ფონდი უზრუნველყოფს, პროექტი შესაფასებლად არ გაეგზავნოს ექსპერტს, რომელიც პროექტის წარმომდგენმა დაასახელა არასასურველ ექსპერტად.

3. თითოეული პროექტი შეფასდება 2 დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ, რომლებიც თავიანთ შეფასებას წარუდგენენ ექსპერტთა ჯგუფს (პანელს). ექსპერტთა ჯგუფი (პანელი) განიხილავს და კონსენსუსის წესით შეიმუშავებს საბოლოო ქულასა და კომენტარს თითოეული პროექტისათვის.

4. პროექტების შეფასების შუალედში ფონდი უზრუნველყოფს:

ა) კონკურსში მონაწილე პროექტების სამეცნიერო ხელმძღვანელებს გააცნოს ორივე ექსპერტის დასკვნა და მისცეს მათ საშუალება, გააკეთონ განმარტება/დაზუსტება იმ შემთხვევაში, თუ არ ეთანხმებიან ექსპერტის მოსაზრებას.

ბ) მიაწოდოს ექსპერტთა ჯგუფებს (პანელებს) პროექტების სამეცნიერო ხელმძღვანელების მიერ წარმოდგენილი განმარტება/დაზუსტება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განსახილველად.

5. დაფინანსების მოსაპოვებლად აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა პროექტმა მიიღოს 36 ან მეტი ქულა;

6. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება იმ პროექტს, რომელიც ჯამურად მაღალ ქულას დააგროვებს თანმიმდევრულად პირველ, შემდგომ მეორე, მესამე და მეოთხე კრიტერიუმში. აღნიშნულ ოთხივე კრიტერიუმში თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება პროექტში ახალგაზრდა მეცნიერის ჩართულობას, ხოლო ამ კრიტერიუმითაც თანაბარი ქულების მქონე პროექტების შემთხვევაში კი - ნაკლები ბიუჯეტის მქონე პროექტს.

7. დამოუკიდებელი ექსპერტებისაგან და/ან დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფ(ებ)ისგან მიღებულ შეფასებებზე დაყრდნობით, დასაფინანსებელი პროექტების შერჩევა განხორციელდება ამ ბრძანების №13 დანართით განსაზღვრული „კონკურსში მონაწილე პროექტებისათვის საბოლოო ქულის გამოთვლისა და დაფინანსების წესების“ შესაბამისად.

8. ფონდის გენერალური დირექტორის მიერ კონკურსში გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შემდეგ ფონდი უზრუნველყოფს კონკურსის შედეგების გამოცხადებასა და კონკურსში მონაწილეთათვის ექსპერტთა შეფასებების გაცნობას.

მუხლი 8. საგრანტო ხელშეკრულება

1. ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების დამტკიცების შემდეგ ფონდი უზრუნველყოფს გრანტის მიმღებებთან - პროექტებში მონაწილე ძირითად პერსონალთან და წამყვან და თანამონაწილე ორგანიზაციებთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმებას, რომელშიც დეტალურად გაიწერება ურთიერთვალდებულებათა პირობები.

2. საგრანტო ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეფასებული პროექტის იდენტურ ქართულენოვან ვერსიაზე.

3. საგრანტო ხელშეკრულება გაფორმდება კონკურსში გამარჯვებულებთან, რომლებიც წარმოადგენენ ამ პირობების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებს.

4. ხელშეკრულება ფორმდება საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის №84 დადგენილებით განსაზღვრული წესების დაცვით.

5. საგრანტო ხელშეკრულებაში გაიწერება პროექტით განსაზღვრული კვლევის შედეგების ამსახველი მასალა.

6. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ პროექტის საგრანტო დაფინანსება ხორციელდება ტრანშების სახით. გრანტის თანხები გადაირიცხება პროექტის მიზნობრივ ანგარიშზე ავანსის სახით. პირველი ტრანში გადაირიცხება ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. ყოველი მომდევნო ტრანში გადაირიცხება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის შუალედური ანგარიშების განხილვის საფუძველზე. ტრანშების გადარიცხვა მოხდება საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის №84 დადგენილებით განსაზღვრული წესით.

7. თანადაფინანსების არსებობის შემთხვევაში, ფონდი გადარიცხავს ტრანშს შესაბამისი პერიოდისთვის გათვალისწინებული თანადაფინანსების თანხის საგრანტო ანგარიშზე დარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე. აღნიშნული დოკუმენტის არწარმოდგენის შემთხვევაში პროექტი შეჩერდება.

8. გამარჯვებული პროექტის ხელმძღვანელის ან ძირითადი პერსონალის წევრების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევების დროს, არგუმენტირებული დასაბუთების საფუძველზე.

9. ფონდი უფლებამოსილია, გრანტის მიმღების მიერ საგრანტო ხელშეკრულების საერთო თანხის გაზრდის გარეშე, წარდგენილი დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, საგრანტო ხელშეკრულების სამოქმედო გეგმაში ან/და ხარჯთაღრიცხვაში განახორციელოს ცვლილება. საანგარიშო წლის პერიოდში საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვაში ცვლილებები დასაშვებია მიმდინარე წლისათვის პროექტის განსახორციელებლად მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსების საერთო ოდენობის 20%-ის ფარგლებში.

მუხლი 9. პროექტის შესრულების მონიტორინგი

1. გრანტის მიმღები ვალდებულია, ყოველი საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდგომ ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ფორმების შესაბამისად ფონდს წარუდგინოს პროექტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამული აქტივობებისა და გაწეული ხარჯების დოკუმენტირებული ანგარიში.

2. ფონდი ახორციელებს დაფინანსებული პროექტების საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგს (შემდგომში - მონიტორინგი) საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის №84 დადგენილების მე-12 მუხლით განსაზღვრული წესების დაცვით, რომლის დროსაც განიხილავს გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილ შუალედურ და საბოლოო ანგარიშებს და ადგენს შესაბამის განხილვის აქტს.

3. მონიტორინგი მოიცავს ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს:

ა) ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ფონდის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან. მონიტორინგის მიზნებისათვის, გრანტის მიმღების მიერ წარსადგენი დოკუმენტაცია და ანგარიშის განხილვის წესი განისაზღვრება საგრანტო ხელშეკრულებით.

ბ) პროგრამული მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულებით დაგეგმილი შედეგების შესრულების დამადასტურებელი ანგარიშის შემოწმებას „პროექტით განსაზღვრული კვლევის შედეგების ამსახველი მასალის“ შესაბამისად. ფონდი უფლებამოსილია პროგრამული მონიტორინგის ფარგლებში განახორციელოს ადგილზე ვიზიტები და ასევე სამეცნიერო ექსპედიციების შეფასება შესაბამისი დარგის ექსპერტ(ებ)ის მონაწილეობით ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და/ან საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად.

4. ფინანსურ და პროგრამული ანგარიშებისა და მათზე თანდართული დოკუმენტაციის სისწორესა და სინამდვილეზე, საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარჯების მიზნობრივად გაწევარზე პასუხისმგებელია გრანტის მიმღები (წამყვან ორგანიზაცია, თანამონაწილე ორგანიზაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და პროექტის ძირითადი პერსონალი).

5. ფონდი არ არის ვალდებული განახორციელოს საგრანტო პროექტის იმ ამოცანებზე მონიტორინგი, რომელთა შესრულების დამადასტურებელი შედეგები არ არის გათვალისწინებული საგრანტო ხელშეკრულებით.

6. პროექტის ბოლო საანგარიშო პერიოდის მიმდინარეობისას ან მისი დასრულების შემდგომ 10 კალენდარული დღის განმავლობაში, არგუმენტირებული დასაბუთების წარმოდგენის შემთხვევაში, ფონდი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება პროექტის ხანგრძლივობის მაქსიმუმ 1 წლით გაგრძელების შესახებ დამატებითი დაფინანსების გარეშე.

7. გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილი შუალედური და საბოლოო ანგარიშების შემოწმების საფუძველზე მომზადებული განხილვის აქტები ფონდის მიერ შესაძლოა გამოყენებულ იქნეს გრანტის მიმღების მიერ მომავალ საგრანტო კონკურსებში მონაწილეობისას წარდგენილი პროექტების შეფასებისას.

8. ფონდი უფლებამოსილია, აწარმოოს საგრანტო ხელშეკრულების პირობების დამრღვევ პირთა რეესტრი - ე.წ. „შავი სია“, რომლის წარმოების წესი განისაზღვრება გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

9. ფონდი უფლებამოსილია განახორციელოს მიმდინარე პროექტების აუდიტორული შემოწმება აუდიტორული კომპანიის მიერ, რათა დადგინდეს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ფონდისმიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობა ამავე ხელშეკრულებით

გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან. აუდიტორული კომპანიის შემოწმების დასკვნის შესაბამისად ფონდი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება პროექტის შეჩერების, შეწყვეტისა და დასრულების შესახებ. ფონდი უფლებამოსილია აუდიტორული კომპანიის შემოწმების უარყოფითი დასკვნის ფაქტი გაითვალისწინოს საგრანტო ხელშეკრულების დამრღვევ პირთა რეესტრის - ე.წ. „შავი სიის“ წარმოებისას.

10. შუალედური და საბოლოო ანგარიშის განხილვისას საგრანტო პროექტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში გრანტის მიმღებს განესაზღვრება ხარვეზის გამოსწორების გონივრული ვადა. საგრანტო ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელება შესაძლებელია გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. მოთხოვნილი ცვლილება უნდა იყოს დაკავშირებული პროექტით გათვალისწინებულ მიზნებსა და ამოცანების შესრულებასთან.

მუხლი 10. პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება

1. პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის №84 დადგენილებით.

2. გრანტის შეწყვეტის შემთხვევაში, გარდა ფორს-მაჟორული გარემოებებისა, გრანტის მიმღები ვალდებულია შესაბამის სახაზინო ანგარიშზე დააბრუნოს არამიზნობრივად დახარჯული თანხა და აუთვისებელი ნაშთი.

მუხლი 11. დამატებითი მოთხოვნები გრანტის მიმღებთა მიმართ

1. გრანტის მიმღები ვალდებულია, პუბლიკაციის გამოქვეყნებამდე შეაფასოს პროექტით გათვალისწინებული კვლევის მიგნებების პატენტუნარიანობა და ასეთის გამოვლენის შემთხვევაში წარადგინოს საპატენტო განაცხადი (საქართველოს ან საერთაშორისო საპატენტო ორგანიზაციაში).

2. გრანტის მიმღები ვალდებულია, პროექტით გათვალისწინებული კვლევის მასალებზე დაყრდნობით გამოაქვეყნოს მინიმუმ ერთი სამეცნიერო სტატია საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემებში ან წარმოადგინოს ცნობა სტატიის გამოსაქვეყნებლად მიღების შესახებ. საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემად ფონდის მიერ განიხილება ის ჟურნალები, წიგნები და კრებულები, რომლებიც ინდექსირებულია: Scimago Journal Ranking და Impact Factor რეიტინგებში ან/და Elsevier (Scopus და Science Direct) Web of Science, ERIH plus ბაზებში.

3. პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული შედეგების ამსახველი მონოგრაფია დამტკიცებული უნდა იყოს წამყვანი ორგანიზაციის დარგობრივი სარედაქციო/საგამომცემლო/სამეცნიერო/აკადემიური საბჭოს, ან მასთან გათანაბრებული სტრუქტურის მიერ.

4. საგრანტო პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგების ამსახველ პუბლიკაციებში (სტატია, მონოგრაფია, საკონფერენციო აბსტრაქტი და სხვა ბეჭდვით პროდუქციაზე.) სავალდებულოა მითითებული იყოს, რომ კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი ...]“ / „This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [grant number ...]“. იმ შემთხვევაში, თუ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში არ იქნება ასახული ზემოაღნიშნული ინფორმაცია, წარმოდგენილი დოკუმენტი არ განიხილება ფონდის მიერ პროგრამული მონიტორინგის განხორციელებისას. ერთ სტატიაზე შესაძლებელია მითითებული იყოს ფონდის მიერ გაცემული მხოლოდ ერთი გრანტის ნომერი.

5. საგრანტო პროექტის ფარგლებში შექმნილ ვიზუალურ პროდუქციაზე (ნაბეჭდ, ფოტო, აუდიო, ვიდეო, ელექტრონულ პროდუქციაზე და ვებგვერდზე) სავალდებულოა განთავსდეს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ლოგო და მითითებული იყოს, რომ

საგრანტო პროექტი განხორციელდა “შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით”.

6. ფონდი უფლებამოსილია გრანტის მიმღებთა მიერ წარდგენილი პროექტის აბსტრაქტი, პროგრამული ანგარიშები და ბეჭდვითი ან/და ვიზუალური მასალები გამოიყენოს საკუთარი საქმიანობის ანგარიშში, ბეჭდვით და ელექტრონულ გამოცემებში, განათავსოს ფონდის ვებგვერდებზე.